საქართველოს ყველა ერის ერთიანობისკენ!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№140 (6366) 22 ნოემბერი 1990 წელი ხუთშაბათი ფასი 3 კაპიკი

დღეს მუშაობას განაგრძობს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში დამნაშავეობამ საგანგაშო მასშტაბი მიიღო. მკვეთრად იმატა მკვლელობის, ყაჩაღობის, ძარცვის, პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულობათა რაოდენობამ, მათ შორის ორგანიზებულ დანაშაულობათა შემთხვევებმა. უხეშად ირღვევა საზოგადოებრივი წესრიგი, შექმნილია დაუსჯელობის ატმოსფერო, მოშლილია სახელმწიფო დისციპლინა. არსებული ეკონომიკური სიძნელეების პირობებში, უკონტროლობისა და განუკითხაობის ვითარებაში გახშირდა ანგარების მიზნით თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტები.

ყოველივე ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და სამოქალაქო მშვიდობას. რესპუბლიკაში ასეთი მორალურ-სამართლებრივი ვითარება მით უფრო მოუთმენელია, როცა დღის წესრიგში რეალურად დგას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების ამოცანა.

სერიოზული ხარვეზებია სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობაში, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია თვით ამ ორგანოების სისტემის არასრულყოფილებითა და პარტიული დიქტატისადმი მათი დაქვემდებარებით.

დამნაშავეობის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღების, ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში რესპუბლიკის სასამართლო, არბიტრაჟის, პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების, იუსტიციის ორგანოებში მიზანშეუწონლად იქნეს მიჩნეული პარტიული ორგანიზაციების შექმნა და ფუნქციონირება. ამასთანავე ამ ორგანოებში არჩეული თუ დანიშნული თანამდებობის პირნი იმავდროულად არ შეიძლება იყვნენ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრები.

2. რესპუბლიკის სამართალდამცველმა ორგანოებმა მიიღონ კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა დანაშაულობათა აღკვეთის, მართლწესრიგის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებათა დაცვისათვის.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური შინაგანი ჯარის დანაყოფები, რომლებიც ძირითადად დაკომპლექტდება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევი მოქალაქეებით.

4. საქართველოს ახლად შექმნილმა მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტოს მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური დანაყოფების ორგანიზაციული, მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები.

5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისმა კომისიებმა მოამზადონ და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარუდგინონ:

ა) წინადადებანი რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების სისტემის რეფორმის თაობაზე;

ბ) წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე ამნისტიის აქტის მიღების თაობაზე;

გ) კანონპროექტი მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას სპეციალური დანაყოფების სამართლებრივი სტატუსის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 15 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 104-ე მუხლის მე-19 პუნქტს დაემატოს სიტყვები: „ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს“.

2. 115-ე მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვის „არბიტრის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის“.

3. 176-ე მუხლში:

სიტყვები: „სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და მას დაქვემდებარებული საქართველოს სსრ პროკურორისა და ქვემდგომი პროკურორების მიერ“ შეიცვალოს სიტყვებით: „საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორისა და მას დაქვემდებარებული პროკურორების მიერ“.

4. 177-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის პროკურორებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წარდგინებით.

რაიონების და ქალაქების პროკურორებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი“.

5. 178-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორისა და ყველა ქვემდგომი პროკურორის უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია“.

6. 179-ე მუხლში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით: „საქართველოს რესპუბლიკის“.

კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 15 ნოემბერი.

საკარმიდამო ზვრების ბარაქა

საქართველოში ახალი ცხოვრების საწყისი ეტაპია. ყველა, დიდი თუ პატარა მომავლის იმედით ცხოვრობს. ამიტომ უდიდესი ფასი და წონა აქვს თითოეული მშრომელის მიერ გაღებულ შრომითს წვლილს.

ლეჩხუმში შემოდგომა თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის, დასრულდა რთველი. ხარობს მუშა კაცი, რომელსაც შემოდგომამ ერთი-ორად აუნაზღაურა გაწეული შრომა. გლეხურ მეურნეობაზე გადასული მევენახეები ყურძნის დიდ ნაწილს უყოყმანოდ აბარებენ სახელმწიფო მარანს. ასე მოიქცა სოფელ ჩხუტელში მცხოვრები **თამაზ საღინაძე**, რომელმაც ცაგერის ღვინის საწარმოს 2 ტონა ყურძენი მიჰყიდა, ლასურიაშელმა **ტიტიკო სვანიძემ**—4,2 ტონა ყურძენი ჩააბარა, **ვახტანგ ბენდელიანმა**—1,2 ტონა, **ნიკო ფანჯარაძემ**—1,4 ტონა, ქვედაცაგერელმა **როსტომ საღინაძემ** 2,5 ტონა ყურძენი მიუწონა საწარმოს, ლარჩვალელმა **ვალერი ჩარკვიანმა**—2 ტონა, **კოლუმბი ჩარკვიანმა**—2 ტონა, ჩხუტელელმა **გრიშა ახვლედიანმაც** 2 ტონა ყურძენი ჩააბარა ღვინის საწარმოს.

ღვინის საწარმოებში იკლო მევენახეთა ნაკადმა. უმრავლესობამ პირნათლად მოიხადა მოქალაქეობრივი ვალი, თავისი წილი გაიღო საქართველოს ეკონომიური აღორძინების საპატიო საქმეში.

წლევანდელი შედეგი და ანაზღაურება სამომავლო შრომის სტიმულს აძლევს ჩვენს გამრჯე მშრომელებს.

საქართველოს რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ სსრ კავშირის კანონის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეჩერებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ სსრ კავშირის კანონის მოქმედება, რათა საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები აღარ გაიწვიონ საბჭოთა არმიის რიგებში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 15 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აცხადებს რა საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლები, **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებანი:

I. 1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, XIX საუკუნის დასაწყისში დაკარგულ იქნა უცხო ძალის ჩარევის შედეგად.

ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას.

1917 წლის თებერვალში დაემხო რუსეთის იმპერია, რამაც ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცა 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღედგინა საუკუნეზე მეტი ხნის წინ რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ გაუქმებული სახელმწიფოებრიობა.

ქართველმა ერმა თავისი პოლიტიკური ნება განახორციელა 1919 წლის 12 მარტს, როდესაც დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე ქვეყნისა და ისტორიის წინაშე ცნო და დაადასტურა ადრე მიღებული დამოუკიდებლობის აქტი, შემდეგ კი 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის საშშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით — (განსაკუთრებით 1924, 1936-38, 1949-51, 1956 წლებში), რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ამ მოვლენამ თვისებრივად ახალ ეტაპზე აიყვანა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა 1990 წლის 28 ოქტომბერს, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა. ამით დაიწყო ახალი ხანა, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით.

ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს არსებული კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით იმოქმედებს გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი.

გარდამავალი პერიოდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები.

2. კონსტიტუციის დასახელებასა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, „საქართველოს სს რესპუბლიკა“, „საქართველოს სსრ“ შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკა“.

3. მე-4 თავის დასახელებიდან და პირველი, მე-4, მე-60, 64-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური“, ხოლო 37-ე, 48-ე და 59-ე მუხლებში შეიცვალოს სიტყვით „სახელმწიფო“.

4. მე-4, 35-ე, 37-ე, 57-ე, მე-60 მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საბჭოთა“.

5. მე-4, 35-ე, 37-ე, 57-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის კონსტიტუცია“.

6. ა) მე-6 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „...კომუნისტური პარტია, სხვა...“,

ბ) 25-ე მუხლიდან— „...ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას...“,

გ) 36-ე მუხლიდან—„...რევოლუციურ თუ...“,

დ) 45-ე მუხლიდან—„...კომუნისტური მშენებლობის მიზნებს შესაბამისად...“,

ე) 57-ე მუხლიდან—„...პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, ღირსეულად ატარებდეს საბჭოთა მოქალაქის მაღალ წოდებას...“,

ვ) 62-ე მუხლიდან—„...საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოს“...

7. კონსტიტუციის

ა) მე-7 თავის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის მდგომარეობა სსრ კავშირის შემადგენლობაში“...

ბ) 68-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკა არის სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრე სახელმწიფო. იგი ძალადობით არის შეყვანილი სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამ რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკა მხოლოდ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში იძულებულია უზრუნველყოს სსრ კავშირისათვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით, გარდა ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-11 პუნქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებისა.

ზემოთ აღნიშნულ ფარგლებს გარეთ საქართველოს რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე“.

გ)77-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის და სსრ კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აჩერებს სსრ კავშირის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოქმედებას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონებს და ინტერესებს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონისაგან სსრ კავშირის კანონის განსხვავების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი“.

დ) 180-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს სახელმწიფო გერბი არის ეროვნული ორნამენტიანი შვიდქიმიანი ვარსკვლავი, ვარსკვლავის ოქროსფერ ჩუქურთმის აქვს შავი არშია. ქიმების შიდა ველი ქართული წითელი ფერისაა (შინდისფერია).

ვარსკვლავის გულზე მოთავსებულია მრგვალი ქართული ფარი, ქართული ფერის (შინდისფერი) ველით, რომელზედაც გამოსახულია ოქროსფლოქვებიან თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი. მას მარჯვენა ხელში უპყრია საბრძოლოდ შემართული ვერცხლისპირიანი ოქროს შუბი, ხოლო მარცხენაში—ოქროსზოლიანი ფარი.

თეთრ გიორგის აცვია ალისფერი შარვალი და ოქროსფერი წაღები. შემოსილია ვერცხლისფერ უჯრედებიანი ცისფერი ჯავშნითა და თეთრი მოსასხამით. ჯავშნის ქვემოთ მოუჩანს ყავისფერი (მიხაკისფერი) ტყავის პერანგი.

თეთრი გიორგის ცხენს უნაგირის ქვეშ დაფენილი აქვს ვეფხვის ტყავი. უნაგირი ოქროსია, ხოლო უზანგი—ვერცხლისა.

თეთრი გიორგის თავს ზემოთ რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია. ვარსკვლავის მარჯვნივ არის ვერცხლისფერი მთვარე, ხოლო მარცხნივ ოქროსფერი მზე. მთვარისა და მზის გასწვრივ ორ-ორი რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია.

თეთრი გიორგის ცხენს ქვემოთ შავი ფერით გამოსახულია მთის მწვერვალი“.

ე) 181-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს ეროვნული და სახელმწიფო დროშა არის მართკუთხედის ფორმის ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ქსოვილი, რომელსაც ტარის მხარეს, ზედა კუთხეში, აქვს შავი (ზემოთ) და თეთრი (ქვემოთ) ზოლები.

დროშის სიგანის შეფარდება სიგრძესთან არის 3:5, თითოეული ზოლის (შავისა და თეთრის) სიგანე არის დროშის სიგანის 1:5, ხოლო სიგრძე—დროშის სიგრძის 2:5“.

ვ). 182-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნს ამტკიცებს საქართველოს უზენაესი საბჭო“.

8. კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნეს მე-3, მე-9, მე-14, მე-15, მე-16, მე-20, 23-ე, 29-ე, 30-ე და 61-ე მუხლები მთლიანად, ხოლო მე-8 და 34-ე მუხლებიდან—მეორე ნაწილები, აგრეთვე 58-ე მუხლის მეორე წინადადება.

9. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 28-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 28.

საქართველოს რესპუბლიკა საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის პრინციპებითა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

საქართველოს რესპუბლიკაში ომის პროპაგანდა აკრძალულია“.

II. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 14 ნოემბერი.

კომპეტენტური წყაროდან

არც ისე წვიმს, როგორც ქუხს

ეკონომიკური კრიზისი, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მთელი სიმძიმე, ბუნებრივია, მოსახლეობაზეც გადადის. განსაკუთრებით ის ღელავს, ვინც დაბალი ან მინიმალური შემოსავლით ცხოვრობს. ადამიანები პანიკამდე არიან მისული და თუკი რამე გამოჩნდა, განსაკუთრებით სასურსათო ან პირველი მოხმარების საქონელი, იმარაგებენ, ყიდულობენ.

ყოველი მეორე, მესამე კითხულობს: მართლა ძვირდება ჰური, კარაქი, შაქარი, ან იქნება საერთოდ? რა მოგველის ხვალ და ა. შ.

ეს ყოველივე მივიტანეთ რაკოოპერატივის ხელმძღვანელობის ყურამდე და ვთხოვეთ მათ ინფორმაცია მიაწოდონ მშრომელებს, რა პრობლემებია ვაჭრობაში და რა პროგნოზებია ხვალისთვის, როგორ ხვდებიან ზამთარს.

რაიკოოპერატივის ვაჭრობის განყოფილების გამგემ **გენურ ქარსელაძემ** თქვა:

ზეზღუდვები სასურსათო პროდუქტებზე არის, მაგრამ ეს საერთო კრიზისიდან გამომდინარეა: ახალი ან განსაკუთრებით საგანგაშო ნამდვილად არაფერია. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ გამომცხვარ პურზე რაიონის მოსახლეობას არავითარი შეფერხება არ ექნება.

რაც შეეხება ფქვილს, არც ამ მხრივაა რაიმე ზეზღუდვა ჩვენთვის კუთვნილი ფონდის გარშემო. მხოლოდ ერთია—უბენზინობის გამო გვიჭირს ყველა სოფელში შევიტანოთ ფქვილი, მაგრამ წლის ბოლომდე მაქსიმალურად შევეცდებით, რომ თითოეულ ოჯახს ჰქონდეს საშუალება დაკმაყოფილდეს პურის ფქვილით.

ერთი ცნობისთვის: მინდა ჩვენმა მომხმარებელმა იცოდეს, რომ მაღაზიაში შემოსული ფქვილი ნორმით უნდა გაიცეს თითოეულ ოჯახზე (თითო ტომარა მაინც). თუ მოსახლეობა შეტანილი ერთი პარტიით ვერ დაკმაყოფილდება, მეორედ მაინც უნდა შეხვდეს ყველა ოჯახს (ჩვეულებრივად სიით, როგორც შაქარი ან საპონი). პურის ფქვილით ვაჭრობაში წყვეტილობა კიდევ იმით არის გამოწვეული, რომ ქუთაისის წისქვილკომბინატი ვერ აუდის მოთხოვნას.

ჩვენ მთიან რეგიონში ვცხოვრობთ, ეს დამატებით სირთულეებს გვიქმნის. ამიტომ განსაკუთრებულ კონტროლზეა ზამთრისათვის მზადების საკითხი.

100 ტონა ნავთი გვაქვს ზამთრის მარაგში. სოფლები, სადაც ვერ შევიტანეთ ნავთი (ასეთი სულ რამდენიმეა) აუცილებლად მიიღებენ თავიანთ კუთვნილს—ერთ ოჯახზე 37 კილოგრამს. იანვრიდან კი ახალ ნორმას.

ზამთრის მარაგში გვაქვს 20 ტონა ბურღული, 50 ტონა შაქარი, 30 ათასი მანეთის თამბაქოს ნაწარმი, 5 ტონა საოჯახო საპონი, 120 ტონა მარილი, მაგრამ ჯერჯერობით საამედო ვერაფერია ასანთის შემოტანაზე, 120 შირობითი ყუთის ნაცვლად შემოტანილი გვაქვს 80 პირობითი ყუთი. მიზეზი ისაა, რომ ბაზებში არ არის ასანთი.

ჩვენ გვესმის დახლების ამჟამინდელი სიცარიელე, ეს ეხება როგორც სასურსათო პროდუქტებს, **ისე** რეზინის ნაწარმს, სხვა საქონელს. ბაზები ფიზიკურად დაცარიელებულია. მსგავსი მდგომარეობაა მთელს რესპუბლიკაში, ქვეყანაში. ამიტომ ცეკავშირის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება შემოიღონ ვაჭრობა პასპორტის წარდგენებით, რათა თავიდან ავიცილოთ რესპუბლიკის გარეთ საქონლის გატანა. მაქსიმალურად შევეცდებით კარაქით, თევზით, ზეთით, სხვა აუცილებელი პროდუქტით მოსახლეობა მოვამარაგოთ.

რაც შეეხება ფასების მომატებას, სასურსათო პროდუქტებზე, როგორც ეს ხმები დადის ხალხში, ასეთი ჯერჯერობით არაფერია.

ქველმოქმედება

9 აპრილის ტრაგედია ისევ მტკივნეულად გვახსენებს თავს, ისევ არ შეხორცდა იმ ავად მოსაგონარი დღის უმძიმესი ჭრილობა. თუ კვალიფიციური საექიმო ჩარევა არა, ხელიდან გვეცლება 9 აპრილს მოწამლული ორი ახალგაზრდა—ინგა რუხაძე და ზვიად ქასრაშვილი. მკურნალობისათვის საჭიროა ფულადი სახსრები, ვისაც როგორ და რამდენიც შეუძლია უნდა გაიღოს ახალგაზრდების გადასარჩენად.

მისაბაძია ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა კოლექტივის მოქმედება, რომლებმაც 9 აპრილს დაზარალებული ახალგაზრდების ინგა რუხაძის და ზვიად ქასრაშვილის დახმარების ფონდში 714 მანეთი გადარიცხეს.

ფიზიკური აღზრდის პროგლემები

ვიმკით გულგრილობის შედეგებს

დღეს ყველა ქართველის სურვილია, რომ საქართველო სპორტში საკუთარი ძალებით გავიდეს საერთაშორისო სარბიელზე, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა წარმოადგინონ საქართველო როგორც დამოუკიდებელი სპორტული ორგანიზაცია, რაც მისასალმებელი და უპირველესი ეროვნული საქმეა. ამ ამოცანების განხორციელებისთვის საჭიროა გააქტიურდეს სპორტული მუშაობა მთელ საქართველოში, მათ შორის ჩვენს რაიონშიც.

ამისთვის მტკიცე საძირკველია ბავშვთა სპორტული აღზრდა. უკანასკნელ წლებში რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ერთგვარად გამოცოცხლდა ბავშვთა ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა. სკოლები ყურადღებით ეკიდებიან მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და ფიზიკური აღზრდის საქმეს. ასეთთა შორის შეიძლება დავასახელოთ ცაგერის პროფტექნიკური სასწავლებელი, ბარდნალისა და ლასურიაშის საშუალო, მახაშის, აღვის, ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლები.

ტრადიციად იქცა მოსწავლეთა სპარტაკიადები. ახალგაზრდები სპორტის ცალკეულ სახეებში კარგ მომზადებას ამჟღავნებენ. ჩვენი სპორტული სკოლისა და საერთოდ სკოლების სპორტსმენები მონაწილეობენ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში და სასურველ შედეგებსაც აღწევენ.

მაგრამ გულისტკივილით და მთელი პირდაპირობით აღვნიშნავ, რომ რაიონის წარმომადგენლები ვერ ხვდებიან დიდ სპორტულ სარბიელზე. კიდევ მეტი: თანდათანობით უარესდება რაიონის წარმომადგენელთა მაჩვენებლები. მიმაჩნია, რომ ეს პირველ რიგში გამოწვეულია ინერტულობით, სპორტისადმი გულგრილი დამოკიდებულებით. აშკარად შეიმჩნევა, რომ ბოლო წლებში რატომღაც არავინ აქცევს ყურადღებას სკოლების მომარაგებას სპორტული ინვენტარით.

დიდ სკოლებში როგორიცაა ცაგერის, ორბელის, ღვირიშის საშუალო, წინა წლებში სპორტული მოედნებითა და სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფილნი იყვნენ, ახლა უკვე ძველი მწყობრიდან გამოვიდა, ახლის შეძენაზე კი არავინ იზრუნა და ეს აშკარად გამოიკვეთება მოსწავლეთა სპორტულ მუშაობაში. იგივე ითქმის რაიონის არასრული საშუალო სკოლების უმრავლესობაზე. მათ არ გააჩნიათ სპორტული დარბაზები და სპორტული მოედნები. ზამთრის პერიოდში მოსწავლეები ძირითადად ჭადრაკსა და ჩოგბურთს თამაშობენ. ზოგან ეს საშუალებებიც არ აქვთ. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხრივ უჭირს სპორტსკოლასაც.

საჭირო სპორტული ინვენტარით სკოლებს წინა წლებში განათლების განყოფილება უზრუნველყოფდა, ამჟამად ეს საქმე მინდობილი აქვთ საბჭოებს, სკოლების დირექციებს. ფიზაღზრდის მასწავლებლები სკოლების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვენ სპორტის განვითარებისთვის საჭირო აუცილებელი პირობების შექმნას. მაგრამ მოთხოვნა მოთხოვნად რჩება. სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ სარაიონო სპარტაკიადებზე ზოგიერთი საშუალო და არასრული საშუალო სკოლის ძალზე დაბალი მომზადების მოსწავლეები მოდიან. ზოგიერთი სკოლა სირცხვილის გამო ვერც კი ცხადდება შეჯიბრებაზე. სათხილამურო სპორტისადმი სკოლების ხელმძღვანელთა სრულიად უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია, რომ სპორტის ამ სახეობაში (თხილამურებით შეჯიბრებაზე) სკოლების 20 პროცენტიც ვერ ცხადდება.

სპორტსკოლის ხელმძღვანელები, როგორც რაიონის სკოლების ფიზიკური აღზრდის მეთოდისტები მოვითხოვთ თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მოაწყონ სკოლებში ბავშვთა სპორტულ-გამჯანსაღებელი მუშაობა, დასაფიქრებელი და გასათვალისწინებელია ფიზაღზრდის მასწავლებელთა რაიონულ თათბირებზე გაკეთებული განცხადება—იმის გამო, რომ არავინ ზრუნავს სპორტული ინვენტარის შეძენასა და მარტივი ტიპის მოედნების მოწყობაზე იძულებული ვართ მივატოვოთ სამუშაო. მართლაც რა ქნას ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებმა ბურთის, ღერძის, ორძელის, სპორტული დარბაზის, მოედნის გარეშე?

მიგვაჩნია სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებამ, სკოლების დირექციებმა, საზოგადოებრიობამ ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საკითხი აქციონ ეროვნულ საქმედ.

ვახტანგ მუშკუდიანი,
სპორტსკოლის დირექტორი.

იჩქარე, გაახარე ადამიანი

საზოგადოების სიმყარეს, მის ძლიერებას ადამიანი, პიროვნება მისი პროფესიონალიზმი განსაზღვრავს.

ამჯერად მედიცინის დაზე მინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ, იმიტომ, რომ ამ პროფესიის ადამიანები ჩვენგან მაინცდამაინც განებივრებული როდი არიან. როდესაც ამ სფეროს მუშაკებზე სამადლობელი სიტყვები გვესმის, უმალ იმასაც დავამატებთ—ეს ხომ სამსახურებრივი მოვალეობაა. მკითხველი დამეთანხმება, დღეს ბევრი რამ არის მოვალეობა ყველგან და ყველა სფეროში, მაგრამ შემსრულებელი სანთლით საძებნი გამხდარა.

33 წელია, რაც ბაბილო შკუბულიანმა სამედიცინო სასწავლებელი დაამთავრა და მას შემდეგ ერთგულად ემსახურება არჩეულ პროფესიას. ორ ათეულ წელზე მეტია სასწრაფო დახმარების მედდაა. მაინც რა არის ამ მუშაკის გამორჩეული თვისებები—კეთილშობილური ბუნება, პასუხისმგებლობის შერწყმა პროფესიონალიზმთან. მისმა უნარმა არაერთხელ მიუსწრო სიკვდილთან მებრძოლ ავადმყოფს. თეთრხალათიანის მიერ უშურველად გაღებულ გულის სითბოს უმთავრეს ყურადღებად და პატივისცემად მიიჩნევენ ის ადამიანები, რომლებიც ესოდენ საჭიროებენ გასაჭირის დროს დახმარებას, თანადგომას, ბიბილოსაც მრავალი წლის მანძილზე რამდენი სიკეთე გაუკეთებია, რამდენი ღამე თეთრად უთენებია. საკმარისია მიმღებში ტელეფონის ერთი ზარიც კი, რომ სასწრაფო დახმარების მედდა საჭირო მედიკამენტებით მარქანაში ზის და [illegible] დროს მანძილი უკვე კარგავს თავის მნიშვნელობას [illegible] ქარის ოჯახში, რომ ადამიანს აჩუქოს სიკეთე, გაახაროს, დაამშვიდოს, არასდროს არ დაზარებია მათთვის არც დრო, არც ენერგია, არც ცოდნა. იგი მუდამ მობილიზებულია გაჭირვებულის დასახმარებლად სამსახურშიც და მის გარეთაც, სოფელში, კუთხემეზობლებში, ამიტომაც უყვართ, აფასებენ.

ბუნებამ ძნელი ხვედრი არგუნა. მამის კერაზე მარტო დარჩა. ერთადერთი ძმის სიცოცხლე ომმა შეიწირა, ამაოდ ელოდა ოჯახი გვარის გამგრძელებელს. ქვედა ცაგერში გიორგი და ფედოსი შკუბულიანებს ყველა იცნობდა, როგორც პატიოსან, მშრომელ სინდის-ნამუსით სავსე ადამიანებს, მოყვრისა და მტრისაც მოყვარულთ, —„მტერს გობითაო“ ასე მოძღვრავდნენ შვილებს. შინმოუსვლელს დედა ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, დღიდან ვაჟიშვილის ოჯახიდან წასვლისა ხორცზე კბილი არ დაუდგამს. დარდმა მოტეხა მამაც. გიორგი შკუბულიანი ძველი ქართული ჩაცმულობის—ჩოხა-ახალუხის, „უძიროებისა“ და თეთრი ჩაბალახის გარეშე არავის ახსოვს. ათეული წლები იმუშავა პატიოსნად რაიონულ საავადმყოფოში ტექნიკურ მუშაკად. ახლა ქალიშვილი და შვილიშვილი ამავე საავადმყოფოს მუშაკები არიან. პაპის ფუძეზე იზრდებიან გიორგი და ნათია, იზრდებიან საქართველოს გასახარად.

ქმარ-შვილზე, შვილიშვილებზე ზრუნვაში ბაბილოსაც წამოსწევია ექვსათეულ წელზე მეტი, მაგრამ მხნედ, ამაყად მოუყვება რაიონული საავადმყოფოსაკენ მიმავალ გზას, რათა გაახაროს ადამიანები.

გ. გაქრაძე.

წ ე რ ი ლ ე ბ ი „ლ ე ჩ ხ უ მ ს“

დაგვიგრუნეთ სახელი

საქართველოს ყველა კუთხეში საინტერესო მუშაობა წარმოებს ტოპონიმების შეგროვებისა და მათი პრაქტიკულად გამოყენების მიზნით. ეს პროცესი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ტოპონიმი მჭიდრო ურთიერთობაშია კუთხის ისტორიულ სინამდვილესთან.

ჩვენს სოფელსაც აქვს თავისი ისტორიული წარსული, რომლის წიაღში მამოძრავებელ ძარღვად ჩანს სახელწოდება „აჭარა“.

წლების წინ სოფლის მშრომელთა თავშეყრის ადგილს აჭარის ხიდი წარმოადგენდა. იქ წარმოებდა სჯა-ბაასი მტკივნეულ საკითხებზე, ისახებოდა პრობლემები. ერთმანეთს ხვდებოდნენ ახლო სოფლების მკვიდრნი, იყო მიპატიჟებანი და ა. შ. ერთი სიტყვით, აჭარის ხიდი დასასვენებელი ადგილიც იყო და საფიხვნოც.

აჭარის ხიდს ამშვენებდა ანკარა წყარო „ჩიქოვანის წყალი“. საირმიდან ჩამოსული მგზავრები იქვე შეჩერდებოდნენ, წყურვილს მოიკლავდნენ, მოწესრიგდებოდნენ და ზოგნი ტრანსპორტის მოლოდინში, ზოგიც აუცილებელი საქმის მოსაგვარებლად ხიდის გამოღმით გამოდიოდნენ. მანქანაც ისე არ გაივლიდა, იქ არ შეჩერებულიყო და მგზავრები წყაროს არ დაწაფებოდნენ.

ეს იყო. ახლა კი... სტიქიური მოვლენების შედეგად ხიდი ჩაინგრა. მასთან ერთად წყაროც. მოსახლეობამ იგი დაკარგვას გადაარჩინა. დროებითი მილებით გამოღმით გამოიყვანა და გზის პირას დაუდო ბინა.

ჩვენ არა გვაქვს უფლება, ხალხს დავუკარგოთ ის, რაც იყო, მაგრამ რაც მთავარია, ის დაეკარგათ—სოფლის სახელწოდება. იგი კოლმეურნეობათა შეერთება-დამსხვილებას შეეწირა და არც არავის განუცდია მისი გაქრობა. დღეს კი გულისტკივილით აღინიშნება ყველა აჭარელის მიერ, რადგან დემოკრატიულ ატმოსფეროში ბევრი ჩრდილით მოსილი გზა გაშუქდა და ამ გზაზე ნათლად გამოჩნდა ხალხის ნება და სურვილი, რაოდენ საამოვნოა იმ ისტორიულ სახელწოდებათა აღდგენა, ქალაქებს, სოფლებსა თუ ქუჩებს რომ მიენიჭათ, ქართული, ეროვნული სული რომ დასტრიალებთ და შთამომავლობას წინაპართა ნაკვალევისკენ ამაყად მიახედებს.

ჩვენც გვინდა მშობლიურ სოფელს აჭარა ეწოდოს კვლავ და ყოველ ჩვენებურს კი—აჭარელი.

ნ. ფრუიძე.

შველას ითხოვს

საქართველოში უამრავი ეკლესია-მონასტერია. თითოეული ემსახურებოდა და ემსახურება ადამიანის რწმენას, ქრისტიანობას. ასეთ როლს ასრულებდა თავის დროზე საირმის წმინდა გიორგის ეკლესია.

ეკლესია მეჩვიდმეტე საუკუნეში ეკუთვნოდა მხედართმთავარ ინასარიძეს. უნდა ვივარაუდოთ, რადგან სარწმუნო წყაროები არ გვაქვს, რომ ეკლესია რამდენიმე საუკუნის წინ იყო აშენებული.

ეკლესია აშენებულია თეთრი ბაღდადის ქვისა და სპონტიოს ქვისაგან. იგი გადახურული ყოფილა ქვის ფილებით. ეკლესიას ჰქონია ორი ოთახი. ერთში მიმდინარეობდა წირვა-ლოცვა, მეორეში კი სოფლის მოსახლეობა იღებდა სასულიერო განათლებას.

ეკლესიაში ყოფილა ხატები, აგრეთვე ზარები რომლებიც დღესაც შემორჩენილია სოფელში, ჰქონია სამი შესასვლელი. დღესაც მარჯვენა და მარცხენა მხარე დანგრეულია. ნანგრევი ქვები ადგილზეა და შეიძლება კედლების თავისუფლად აღდგენა.

ეს უნიკალური ძეგლი შველას მოითხოვს. საჭიროა სპეციალისტებისა და მოწოდებული ორგანიზაციების ნებართვა, ხელმძღვანელობა მისი აღდგენითი სამუშაოების მხრივ. ფიზიკური ძალით მთელი სოფელი გამოვა და მის აღდგენით სამუშაოებში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

შ. ხუციძე,
ალპანის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე.

გაგვათბეს მომავლის იმედით

ლეღავდნენ ცაგერის №1 საბავშვო ბაღის (გამგე ოლია ყურაშვილი) უფროსი ჯგუფის აღსაზრდელები. ხუმრობა ხომ არ იყო—პატარებს ღია მეცადინეობა ჰქონდათ მათემატიკის წარმოდგენით განვითარებაში.

მეცადინეობას ესწრებოდნენ მშობლები, საშუალო ჯგუფის აღსაზრდელები.

აღმზრდელებმა ნორა ჯანელიძემ და ნონა ყურაშვილმა პატარებთან 5-ის ფარგლებში საინტერესო მეცადინეობა ჩაატარეს. ნორჩები სხაპასხუპით პასუხობდნენ, თვლა-ანგარიში მიმდინარეობდა ვაშლის, სათამაშოების, ყვავილების ფონზე, ერთი სიტყვით, ინტერესით, ხალისით.

მეცადინეობა შემოდგომის შრომის ზეიმში გადაიზარდა.

ლამაზად მორთულ მუსიკის დარბაზში მინიატურაში იყო წარმოდგენილი გულუხვი შემოდგომა. მუსიკის მასწავლებელ რუსუდან კოპალიანის ხელმძღვანელობით პატარებმა წარმოადგინეს შემოდგომის კომპოზიცია—ლაღი ხმები დედაზე, თავისუფალ საქართველოზე, შემოდგომაზე, ჭერს სწვდებოდა, გულს ახარებდა და მომავლის იმედით გვათბობდა.

ც. ლარცუღიანი,
მშობელი.

დემოგრაფია, დემოგრაფია...
რას ფიქრობთ?

იმ უმწვავეს პრობლემათა შორის, რომლებიც დღეს აწუხებს ქართველობას, ერთ-ერთი პირველთაგანი დემოგრაფიული პრობლემაა. მომრავლდნენ საქართველოში დაუოჯახებელი ქალ-ვაჟები. ამ მხრივ გამონაკლისს არც ლეჩხუმი წარმოადგენს, პირიქით, ჩვენთან კატასტროფულად იზრდება დაუოჯახებელი ახალგაზრდების რიცხვი.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის რაიონული ორგანიზაციის სათათბირო აწყობს სოციოლოგიურ გამოკვლევას, რომლის მიზანია აღნიშნული პრობლემის უფრო ღრმად შესწავლა-გაანალიზება. მისი გამომწვევი მიზეზების სააშკარაოზე გამოტანა და პრესის საშუალებით რაიონის საზოგადოებისათვის გაცნობა.

თხოვნით მოგმართავთ ახალგაზრდა ოჯახებს, დაუქორწინებელ ახალგაზრდებს მხარი დაგვიჭირონ ამ ღონისძიების ნორმალურად ჩატარებაში, ყველამ ერთად ვცადოთ ამ მტკივნეული პრობლემის გადაჭრა. დაე, ღმერთი იყოს თქვენი და მთელი საქართველოს მფარველი, დაე' მრავალი ფუძეძლიერი ოჯახი შემატებოდეს ლეჩხუმს და სრულიად საქართველოს.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის რაიონული ორგანიზაციის სათათბირო.

გილოცავთ

ვახტანგ სანდროს ძე ჩაკვეტაძეს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. აღზრდილიყოს სასიქადულო მამულიშვილი.

ლაცორიის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

დამზირა, შურმან ყურაშვილებს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. ღმერთმა გაგიზარდოთ და გიბედნიეროთ, გიმრავლოთ ქალ-ვაჟები თქვენს ფუძეზე.

ოთარ, მურად ხაბულიანები, მურთაზ კოპალიანი, დათო ბანძელაძე ოჯახებით.

ცირა ურთმელიძეს
ზურაბ გოგიძეს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი, ბედნიერი ყოფილიყოს მისი ცხოვრების გზა.

კესო, მერი, გივი მურცხვალაძეები.

ლედი თედორეს ასულ ყვირიდიანს
დამარა ბიქტორის ასულ დავითულიანს

გილოცავთ შვილიშვილების შეძენას. აღზრდილიყვნენ ერის სასახელო მამულიშვილები.

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის თანამშრომლები.

ანა ოთარის ასულ მეგრელს
ვახტანგ სანდროს ძე ჩაკვეტაძეს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. აღზრდილიყოს ერის სასახელო მამულიშვილი.

ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივი.

ცირა ურთმელიძეს
ზურაბ გოგიძეს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. ძეობა და სიხარული არ მოეშალოს თქვენს ოჯახს.

ცაგერის საკოლმეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები

ეროვნული სახეობების პოპულარიზაციისათვის

დოღი, ყაბახი

ქვედა ცაგერში, აეროდრომზე ჩატარდა ტრადიციული შეჯიბრება დოღში. შეჯიბრება მიზნად ისახავდა რაიონში სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისა და საუკეთესო ცხენ-მხედრის გამოვლინებას. მონაწილეობდა ქვედა ცაგერის, გვესოს, ოყურეშის, კენაშისა და უცხერის ათამდე მხედარი.

კარგია, რომ გვყავნან სპორტის ამ სახეობის ენთუზიაზისტები—უცხერელი კოტე ბაქრაძე და კენაშელი გალაქტიონ ჩხეტიანი.

შეჯიბრების დებულებით გათვალისწინებული იყო ჯირითი 2500 მეტრამდე. შეჯიბრებას უნდა გამოევლინა მხედარი, რომელიც ყველაზე ადრე დაფარავდა ამ მანძილს და დადგენილი წესით გაივლიდა ფინიშის ხაზს. პირველი ცდის შემდეგ გამოვლინდნენ საუკეთესოები:

ამ ეტაპზე ყველაზე კარგი შედეგი (2,39 წთ) ჰქონდა კენაშელ რომან ჯიაძეს, მეორე იყო გოჩა ნემსწვერიძე, (2,45 წთ უცხერი). მესამე—დიმიტრი ბაქრაძე (2,46 წთ, უცხერი).

ბოლოს გაიმართა ფინალი.

შეჯიბრების საბოლოო შედეგებით პირველი ადგილი ერგო გოჩა გივის ძე ნემსწვერიძეს, მეორე—რომან რამინის ძე ჯიაძეს, მესამე—დიმიტრი სოსოს ძე ბაქრაძეს. გამარჯვებულებს გადაეცათ თასი და ფულადი ჯილდოები.

საინტერესოდ წარიმართა „ყაბახი", სადაც ათამდე მხედარმა მიიღო მონაწილეობა. აქ პირველობა არავის დაუთმო ქვედა ცაგერელმა ბადრი სალინაძემ. მან ორი სამბალიანი ქულით მოიპოვა გამარჯვება, თასი და ფულადი ჯილდო დაიმსახურა.

პ. კოპალიანი,

ცაგერის ნებაყოფილობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის" თავმჯდომარე.

ვისაც კარატე გიყვართ

ცაგერში იხსნება კარატეს შემსწავლელი სკოლა. სწავლება წარიმართება ორ ასაკობრივ ჯგუფად: 8-დან 12 წლამდე და 12-დან ზევით. მეცადინეობას ჩაატარებს „შავი ქამრის" მფლობელი მასწავლებელი.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ ყოველდღე ცაგერის სპორტსკოლაში.

მეცადინეობები დაიწყება 26 ნოემბერს 3 საათზე.

ქართველ მაშველთა კორპუსი „მხედრიონი",
ნ. ფ. ს. ს. „შევარდენი".

დედა ვერა, შვილები ჯემალი, ნაილი, ძმები ჟორა, ჯანიკო ჩხეტიანები, რძლები დოდო, მანანა, ლამარა, ნუნუ, შვილიშვილები კახა, ჯაბა, მაზლიშვილები ნათელა, იამზე, მარინე, სიძეები ბუხა ფრუიძე, თამაზ კოპალიანი, მერაბ კაკიტაძე, ძმისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლოლა ალექსანდრეს ასული ჩხეტიანი-ხუციძე

დაკრძალვა 24 ნოემბერს, შაბათს. სოფ. საირმეში.

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ორბელის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნარგიზა, გოგი სალინაძეებს დისშვილის

რუსუდან კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ზაურ ყურაშვილი, მურმან გუგავა, ვახტანგ სვანიძე, ვარლამ გოლეთიანი, ოთარ ჩიქოვანი, სოსო კოპალიანი, გენური ახვლედიანი, ვალერი, შოთა, კახა ჩხეტიანები, ბორის ჭაბუკიანი თანაუგრძნობენ ნუნუ, ბექან ტვილდიანებს ბიძის

ვარლამ მეშველიანის

გარდაცვალების გამო.

დავით ალფეზის ძე, შოთა რადიონის ძე კოპალიანები, ჯუმბერ სალინაძე, არჩილ ჩაკვეტაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსუდან რომანის ასული კოპალიანი.

კაკო გვიშიანი, ჯონი ხალიანი, ვახტანგ სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ გოგი და ნარგიზა სალინაძეებს

რუსუდან კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე გულიკო, დედა ნინა, მამა ინდიკო, და ლილი, შვილები იამზე, ზაზა, შვილიშვილი ფიქრია, სიძეები ჯემალ დავითულიანი, გენადი აფხაძე, დისშვილი ნატო, ბიძები შალვა, იორამი, ბიცოლები სონა, ლამარა, სიდედრი გალინე, ცოლისდები ლენა, რუსიკო, მზია, მზიური, მაყვალა, ქვისლები კოლია, ბიჭიკო, ბიკენტი, ამირანი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯემალ ინდიკოს ძე ყურაშვილი.

დაკრძალვა 25 ნოემბერს, კვირას, სოფ. ოყურეშში.

ცაგერის შემნახველი ბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნარგიზა, გოგი სალინაძეებს, აზა, მურთაზ კოპალიანებს

რუსუდან კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ოთარ თვარაძე, შოთა, ზურაბ ხაბულიანები, ემზარ მდივანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მარინე და დათო ხაბულიანებს დედისა და სიდედრის

ქეთევან გოლეთიანი-მელაძის

გარდაცვალების გამო.

ავთო, ამირან მუშკუდიანები, იუწყებიან

ჯემალ ინდიკოს ძე ყურაშვილის

გარდაცვალებას.

ნინა კოპალიანი, ამირან დვალი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსუდან რომანის ასული კოპალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ტარიელ დავითულიანი ოჯახით იუწყება რომ გარდაიცვალა

ქეთევან მელაძე

რედაქტორის მოადგილე
მ. ძნელაძე.

მეუღლე ოლია, შვილები ქეთინო, გია, მათიკო, გოგი, გიზო, რძლები ლალი ღაჭავა, ირმა მაღლაკელიძე, სიძეები გურგენ სვანიძე, რაინდი ჩაკვეტაძე, ძმა ალექსანდრე, შვილიშვილები ილო, სლავა, კობა, ელისო, მერაბი, ბაჩუკი, ანა, ბიძა იულო, ბიცოლა ლიდა, ძმისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შოთა ნიკიფორეს ძე უგრეხელიძე

დაკრძალვა 27 ნოემბერს, სამშაბათს, სოფ. ოყურეშში.

ცაგერის საშუალო სკოლის 1967 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ რომან კოპალიანს შვილის

რუსუდან კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ზურაბ, ჯონდო სალინაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსუდან რომანის ასული კოპალიანი

დები თამარა, ოლღა, დისშვილები გოგი, დათო, ნინელი, ნელი ხეცურიანები, ნათელა, ანზორ დავითულიანები, სიძეები გიმან ბენიძე, ომარ თვალავაძე, გურამ ცხვედიანი, დისშვილისშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიდა გრიგოლის ასული სილაგაძე-გოლეთიანი

დაკრძალვა 24 ნოემბერს, შაბათს, სოფ. მახაშში.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №58. ტელეფონები: რედაქტორის—22-81, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-84, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-86, მშრომელთა წერილების განყოფილების—28-41 საკორექტოროს—22-48. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-28, გაზეთი გამოდის ხამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4488

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.